

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №975

2013 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის თანდართული წესდება.

მუხლი 2

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 20 ივლისის №1007 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3

ბრძანება, გარდა ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და 22-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4

ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და 22-ე მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი

ალექსანდრე ჭიკაიძე

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესდება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შემდგომში – აკადემია) სტატუსს, მისიას, მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს, ასევე აკადემიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. აკადემიის სტატუსი

- აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და საარქივო დაწესებულება.
- აკადემიას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ ის საქმიანობა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით.
- აკადემიას დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად აქვს სპეციალური



უფლებათარსიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს და გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობებში, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

4. აკადემია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების, ამ წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

5. აკადემიის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“, შემოკლებით – „სსიპ – საქართველოს შსს აკადემია“.

6. აკადემიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0178, გმირი კურსანტების ქ.№4.

7. აკადემიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და შტამპი საკუთარი დასახელებით, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, ასევე იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) თანხმობით, აკადემია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

9. დაწესდეს აკადემიის დღე და აღინიშნოს ყოველი წლის 3 ივნისს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 თებერვლის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 16.02.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 მაისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 30.05.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 3. აკადემიის მისია

აკადემიის მისიაა პროფესიონალი კადრებისა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით უზრუნველყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური საპოლიციო კადრების მომზადება.”;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 4. აკადემიის მიზნები და ამოცანები

1. აკადემიის მიზნები და ამოცანები ემსახურება აკადემიის მისიის აღსრულებას.

2. აკადემიის მიზნები და ამოცანებია:

ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოსათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ფუნქციის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

გ) საჯარო და კერძო სექტორისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

დ) მსმენელთა პატრიოტული, ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა;

ე) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);



ვ) მსმენელის განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

ზ) სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

თ) აკადემიაში განათლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ი) აკადემიის მიზნების განხორციელებისათვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

კ) მისიის აღსრულებისათვის ხელშემწყობი სხვა მიზნები და ამოცანები.

3. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად აკადემია:

ა) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

ბ) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

გ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

დ) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

ე) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

ვ) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

ზ) ახორციელებს სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას და გასცემს შესაბამის სერტიფიკატებს;

თ) პროფესიული განვითარებისათვის, სპეციალური პროფესიული ცოდნის შეძენისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების და დახვეწის მიზნით, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებით სწავლებას;

ი) უზრუნველყოფს სამინისტროს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი სასწავლო ღონისძიებების განხორციელებას;

კ) ქმნის მსმენელებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველ გარემოს;

ლ) ახორციელებს თავის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობას;

მ) ამყარებს ურთიერთობებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

ნ) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

ო) შეიმუშავებს პროექტებს და წარუდგენს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს;

პ) ახორციელებს საარქივო საქმიანობას;

ჟ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას;

ჟ¹) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

რ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 5. საქმიანობის საგანი

აკადემიის საქმიანობის საგანია:

ა) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

ბ) სპეციალური პროფესიული განათლებით სპეციალისტების მომზადება როგორც სამინისტროსათვის, ისე სხვა გასამხედროებული დაწესებულებებისათვის და აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა, ასევე პოლიციის სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კადრების მომზადება, გადამზადება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

ბ¹) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

გ) ხელშეკრულების საფუძველზე სპეციალისტთა მოსამზადებლად შესაბამისი სასწავლო კურსების ორგანიზება ან/და ტესტირება;

დ) საარქივო საქმიანობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში, საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება, პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა;

ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ვ) საგამომცემლო საქმიანობა;

ზ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება;

თ) სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის (გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის) წარმოება და რეალიზება;

ი) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ი¹) სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა.

კ) შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 აპრილის ბრძანება №323 - ვებგვერდი, 29.04.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

თავი II

აკადემიის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 6. აკადემიის სტრუქტურა

აკადემიის სტრუქტურა შედგება მართვის ორგანოების, ძირითადი, დამხმარე და სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 7. აკადემიის მართვის ორგანოები

აკადემიის მართვის ორგანოებია: რექტორი და პრორექტორ(ებ)ი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.



მუხლი 8. აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები

1. აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია: პროფესიული მომზადების სამმართველო, სპეციალური მომზადების ცენტრი და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი.
2. აკადემიის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაცია, სამინისტროს არქივი, ფსიქოლოგთა განყოფილება, განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება, კომუნიკაციების განყოფილება, ენის ცენტრი, ბიბლიოთეკა და წარმომადგენლობითი საბჭო (შემდგომში - საბჭო).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 9. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 03.04.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 10. რექტორი

1. რექტორი არის აკადემიის მართვის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს აკადემიას და წარმოადგენს მას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რისთვისაც უფლებამოსილია, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, აკადემიის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები.
2. რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

3. რექტორი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის თანამშრომლებს, ხოლო პოლიციის თანამშრომლებს ითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პროცედურებსა და საკონკურსო მოთხოვნებს;

გ) ამტკიცებს აკადემიაში მოქმედ მარეგულირებელ წესებს;

დ) ზედამხედველობს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ე) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს აკადემიის სტრუქტურას, საშტატო განრიგს და განსაზღვრავს სახელფასო ფონდს;

ვ) წარმოადგენს აკადემიას ან უფლებას ანიჭებს აკადემიის წარმომადგენლობაზე მესამე პირებთან ურთიერთობებში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ზ) ადასტურებს პირადი ხელმოწერით ან ანიჭებს უფლებამოსილებას შესაბამისი დოკუმენტაციის დადასტურებაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

თ) კურატორ მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით, რეგლამენტის/ინსტრუქციის სახით ამტკიცებს აკადემიის მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობებს;

ი) (ამოღებულია - 31.10.2018, №122);

კ) აკადემიის წესდების პროექტს ან წესდებაში ცვლილების პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს;

ლ) პროფესიული მომზადების სამმართველოს წარდგინებით ამტკიცებს სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/სასწავლო კურსებს;

ლ¹) პროფესიული მომზადების სამმართველოს წარდგინებით ამტკიცებს საპილოტე პროგრამებს/სასწავლო კურსებს მათი შემდგომი შემოღების საჭიროების დადგენის, ან არსებულ პროგრამაში/სასწავლო კურსში შემდგომი ინტეგრაციის მიზნით;



მ) ამტკიცებს აკადემიაში მსმენელად მისაღები პირებისათვის ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესებს და განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას.

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №245 - ვებგვერდი, 31.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 11. საბჭო

1. საბჭო არის აკადემიის სათათბირო კოლეგიური ორგანო.

2. საბჭოს წევრები არიან: პრორექტორები, ადმინისტრაციის უფროსი, სპეციალური მომზადების ცენტრის უფროსი, პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსი, საფინანსო სამსახურის უფროსი, სამეურნეო სამსახურის უფროსი, იურიდიული განყოფილების უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

3. საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს მიერ 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საბჭოს მინიმუმ 2 წევრს. თუ ვერცერთი პრეტენდენტი ვერ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას, იმავე დღეს გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორ პრეტენდენტს შორის. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ აირჩევა თავმჯდომარე, 3 სამუშაო დღის ვადაში გაიმართება საბჭოს სხდომა და ხელახლა ჩატარდება თავმჯდომარის არჩევის პროცედურა. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს აკადემიის რექტორი, ხოლო თავმჯდომარეობს სხდომის უხუცესი წევრი.

4. საბჭოს სხდომის მდივანს, 2 წლის ვადით, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ის წარდგინებით ირჩევს საბჭო აკადემიის თანამშრომელთაგან. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ორგანიზაციულ და საინფორმაციო მომსახურებას.

5. საბჭო მოიწვევა საჭიროებისამებრ, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც. საბჭო იკრიბება მოწვევიდან მეორე სამუშაო დღეს. საბჭოს სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს საბჭოს უხუცესი წევრი. საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხას, რომელიც წინასწარ გადაეცემა საბჭოს წევრებს. დღის წესრიგს მიკუთვნებულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი პირი. საბჭოს თავმჯდომარე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღოს ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით.

6. საბჭოს სხდომის გახსნამდე ხდება წევრთა რეგისტრაცია საბჭოს მდივანთან (რეგისტრაციის მონაცემები ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს). საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

7. საბჭოს მუშაობის პერიოდში წევრს უფლება აქვს, დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანოს განსახილველი საკითხი, დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც საბჭოს განხილვის საგანია, აგრეთვე ისარგებლოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით. საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

8. საბჭოს ყველა სხდომაზე წარმოებს სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) საბჭოს დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი;

გ) დამსწრეთა ვინაობა;



დ) დღის წესრიგი;

ე) სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები;

ვ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები.

9. ოქმს ერთვის ყველა ის მასალა, რომელიც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება.

10. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

11. საბჭო იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება აკადემიის რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

12. საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს აკადემიის სტრუქტურის ცვლილების პროექტს;

ბ) განიხილავს 100 000 ლარის და მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების მიზანშეწონილობის საკითხს;

გ) შეიმუშავებს აკადემიის წლიური ბიუჯეტის ან მასში ცვლილების პროექტს;

დ) შეიმუშავებს აკადემიის წესდების ან მასში ცვლილების პროექტს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 12. პრორექტორი

1. აკადემიას ჰყავს არაუმეტეს სამი პრორექტორი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. პრორექტორების უფლება-მოვალეობებსა და საკურატორო სფეროებს განსაზღვრავს რექტორი.

3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში მისვე დავალებით ერთ-ერთი პრორექტორი ასრულებს რექტორის მოვალეობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 27 იანვრის ბრძანება №55- ვებგვერდი, 31.01.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

მუხლი 13. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი

1. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს:

ა) სასწავლო პროცესის და მასში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას და შემდგომი განვითარების წინადადებების შემუშავებას;

ბ) შეფასების შიდა პროცედურებს, რომელთა მიზანია აკადემიაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

გ) დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით აკადემიაში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას;

დ) სხვა საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით.



2. აკადემიის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 15. პროფესიული მომზადების სამმართველო

1. პროფესიული მომზადების სამმართველო წარმართავს სასწავლო პროცესს „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. პროფესიული მომზადების სამმართველო:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროცედურების ორგანიზებას;

ბ) შეიმუშავებს სწავლების პროგრამებს/კურსებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის რექტორს;

ბ¹) შეიმუშავებს საპილოტე სწავლების პროგრამებს/კურსებს მათი შემდგომი შემოღების საჭიროების დადგენის, ან არსებულ პროგრამაში/სასწავლო კურსში შემდგომი ინტეგრაციის მიზნით და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის რექტორს;

გ) შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებსა და სასწავლო მასალებს;

დ) აკონტროლებს თავისი მმართველობის სფეროში შემავალი ერთეულების საქმიანობას;

ე) ახორციელებს აკადემიის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №236 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

მუხლი 16. სპეციალური მომზადების ცენტრი

სპეციალური მომზადების ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იმ დანაყოფების თანამშრომელთა მომზადებასა და გადამზადებას, რომელთა საქმიანობის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხეების გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

მუხლი 17. აკადემიის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები

1. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მართვას, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებასა და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებას;

ბ) აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, აკადემიის ტერიტორიაზე პირთა გადაადგილების (შემოსვლა-გასვლის) კონტროლს და ქონების დაცვას;

გ) აკადემიის საქმიანობის სამართლებრივ მხარდაჭერას;



დ) აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვალიფიციური კადრების მოძიებას, შემოწმებისა და დაკომპლექტების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ე) აკადემიის სისტემურ, ქსელურ, პროგრამულ და ტექნიკურ მხარდაჭერას;

ვ) აკადემიის საქმისწარმოების ორგანიზებასა და კონტროლს.

2. სამინისტროს არქივი ახორციელებს საარქივო მასალის შენახვას, საცავში დაცული სპეციალური ტიპის ინფორმაციასთან დაშვებასა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესების დაცვით გაცემას, აგრეთვე სხვადასხვა სახის შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით (საგამომცემლო, საექსპოზიციო და ა.შ.), საკონსერვაციო (რესტავრაცია, დიგიტალიზაცია, რეზერვაცია) საქმიანობასა და საერთაშორისო მემორანდუმებით ან პროექტებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს.

3. ფსიქოლოგთა განყოფილება უზრუნველყოფს აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესში ჩართულობას, სასწავლო მეთოდოლოგიის შემუშავებასთან, პილოტირებასთან და დანერგვასთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას და აკადემიის ხელმძღვანელობისათვის წარდგენას.

4. განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას, განვითარებასა და უცხო ქვეყნების წარმომადგენლობებთან თანამშრომლობის კოორდინაციას; სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან საქართველოს ეროვნული კოორდინატორის ფუნქციის შესრულებას; პროექტების ინიცირებას, დაგეგმვას, კოორდინაციას, განხორციელებას, შეფასებასა და ანგარიშგებას; საერთაშორისო სწავლებების, კონფერენციების და სემინარების ჩატარებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას, კოორდინირებას და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფას; აკადემიის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშის მომზადების კოორდინირებას.

4¹. კომუნიკაციების განყოფილება უზრუნველყოფს ვიზუალური, საპრომოციო მასალების დიზაინის შექმნას, საინფორმაციო და აუდიო-ვიდეო მასალების დიზაინის ფორმირებას; ფოტო-და ვიდეოარქივის შექმნასა და განახლებას; საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ვიდეორგოლების მომზადებას; პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების ტექნიკურ მხარდაჭერას; შემოქმედებითი საქმიანობასა და განვითარებაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო პროექტების ინიცირებას.

5. ენის ცენტრი ახორციელებს აკადემიის მსმენელების, სამინისტროს მოსამსახურეების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ხელშეკრულების საფუძველზე სხვა უწყების თანამშრომელთათვის შესაბამის ენაში ტესტირებას, ენის სწავლებას და სწავლების ორგანიზებას.

6. ბიბლიოთეკა ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირებას, დაცვასა და აღრიცხვას, საგამომცემლო საქმიანობას და აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და სხვა დამხმარე მასალით უზრუნველყოფას, ასევე საბიბლიოთეკო ფონდის მკითხველისათვის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 03.04.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

მუხლი 19. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

თავი III აკადემიის პერსონალი

მუხლი 20. პერსონალი

აკადემიის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობებისაგან, ასევე ინსტრუქტორებისაგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.



მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 22. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 23. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის ბრძანება №46 - ვებგვერდი, 01.02.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 24. ინსტრუქტორი

1. აკადემიის ინსტრუქტორი არის პირი, რომელიც ასწავლის მსმენელს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.

2. ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. (ამოღებულია - 31.10.2018, №122).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 25. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. აკადემიაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსი, სამინისტროს არქივის დირექტორი და მისი მოადგილე, სპეციალური მომზადების ცენტრის უფროსი, სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე (მასთან გათანაბრებული სტრუქტურული ქვედანაყოფი), სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე, განყოფილების უფროსი.

2. აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

3. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული და ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აკადემიის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №764 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

თავი IV

აკადემიის სტუდენტი/მსმენელი

მუხლი 26. (ამოღებულია)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №805 - ვებგვერდი, 26.10.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 27. აკადემიის მსმენელი

აკადემიის მსმენელი არის პირი, რომელიც სამინისტროს შესაბამისი აქტის საფუძველზე გამოცემული



აკადემიის რექტორის ბრძანებით ირიცხება აკადემიაში განხორციელებად სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სპეციალურ პროგრამაზე ან კურსზე, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე ჩარიცხული პირები.

მუხლი 28. სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობები

აკადემიის მსმენელის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიის რექტორის ბრძანებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

მუხლი 29. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

მსმენელის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა ან აღდგენა ხორციელდება აკადემიის რექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 ივლისის ბრძანება №504 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №122 - ვებგვერდი, 31.10.2018წ.

თავი V

აკადემიის ქონება, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 30. აკადემიის ქონება

1. აკადემიას დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცემა ქონება.

2. აკადემიის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

3. აკადემიას უფლება აქვს მისთვის გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან გაასხვისოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 31. აკადემიის ქონებით სარგებლობა

1. აკადემიის ბალანსზე რიცხული ქონება გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

2. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით აკადემიას შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები აკადემიის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 32. აკადემიის დაფინანსება

1. აკადემიის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო სასწავლო გრანტი;

ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავლები;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;

ე) შემოწირულობები;



ვ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება აკადემიის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №761 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.

მუხლი 33. სახელმწიფო კონტროლი

აკადემიის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო.

მუხლი 34. აკადემიის ბალანსის შედგენა და შემოწმება

1. აკადემია ვალდებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

2. აკადემიის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი VI

აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 35. აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აკადემიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

